



ს.ს.ი.პ. საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრის“ დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 83-ა

ქ. თბილისი

21 აგვისტო 2015 წელი

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯში „სპექტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო მიზნით გამოსაყენებელი მასალების შენახვისა და გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯში „სპექტრი“ შემუშავდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო მიზნით გამოსაყენებელი მასალების შენახვისა და გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის წესი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 20 ივნისის №75/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრის“ წესდების“ მე-5 მუხლის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯში „სპექტრი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო მიზნით გამოსაყენებელი მასალების შენახვისა და გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის წესი შემდეგი სახით:
 - ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო მიზნით გამოსაყენებელი მასალების შექმნასა და შენახვას აწარმოებს კოლეჯი.
 - ბ) პროფესიული სტუდენტების მიერ სასწავლო მასალების გამოყენება ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მიზნით.


პროფესიული სტუდენტების მიერ სასწავლო მასალების გამოყენების პროცესს მეთვალყურეობას უწევს შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი პირი.

გ) სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვას კოლეჯში სპეციალურად გამოყოფილ ადგილას უზრუნველყოფს კოლეჯის ადმინისტრაცია.

2. ბრძანების დაინტერესებული პირისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობა დაევალოს კოლეჯის საქმის მწარმოებელს ინა ქვრივიშვილს.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში მისამართზე - თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

დირექტორი



როინ (მათე) ტაკიძე